# თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## მორიგი სხდომის

## ო ქ მ ი № 16

23 ოქტომბერი 2018 წ. ქ. თელავი

**სხდომას ესწრებოდნენ:** 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 27 დეპუტატი:

**თავმჯდომარეობდა:** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე;**

**ესწრებოდნენ:**

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე — **გიგა ორკოდაშვილი;**

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — **ნანა ხვისტანი;**

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — **ალექსანდრე შათირიშვილი;**

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე — **დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე — **დავით გოგოშვილი;**

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე — **ლევან კოჭლოშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე — **ლევან ლილუაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -კონსერვატორები" თავმჯდომარე — **მაია მარკოზაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარე — **ტიტე დარეჯანიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება — **გიორგი ჩაბრაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ქოჩიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ მუსაევი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
-კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ქიზიყელაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე გიგა მამუკელაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის
„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ გრემელაშვილი;

**საკრებულოს წევრები:** ლევანი ოთიურიძე, იოსებ პარწიკანაშვილი, გურამი წულუკიძე, ვასილ არაბული, ზაქარია ყარასაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ზურაბი ლილუაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ბესიკ გაიპარაშვილი, ზურაბი ნაცარაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:**

თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **გიორგი თუშიშვილი;**
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე;**
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი **მალხაზ ბაღუაშვილი;**

სოფელ ყარაჯლის მაცხოვრებლები, სოფელ კისისხევში მცხოვრები **ზ.იობაშვილი,** მოქალაქე **ა.მჭედლიშვილი,** კავშირი „ლამპარი“-ს თავმჯდომარე **ნ.მაისურაძე**

საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**
საკრებულოს აპარატის თანამშრომლები: **ნიკა სახიაშვილი, სოფიო ოხანაშვილი.**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გ. თავბერიძემ** საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი: „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“.

მოქალაქე **ა.მჭედლიშვილმა** და კავშირ „ლამპარი“-ს თავმჯდომარემ **ნ. მაისურაძემ** მოითხოვეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

(ცვლილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26 წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ზ.ნაცარაშვილმა )

## <u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „მოვუსმინოთ სამყაროსთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

   მომხს. გ.თავბერიძე

   12.00სთ-დან -12.15სთ-მდე

2. ქალაქ თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (მგგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ.

   მომხს. მ.ბაღუაშვილი

   12.15სთ-დან -12.30სთ-მდე

3. ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ.

   მომხს. მ.ბაღუაშვილი

   12.30სთ-დან -12.45 სთ-მდე

4. „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული აქტის მიღებისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

   მომხს. ტ.გალახვარიძე

   12.45სთ-დან -13.00 სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

   მომხს. გ.თავბერიძე

   13.00სთ-დან -13.15 სთ-მდე

6. სხვადასხვა

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „მოვუსმინოთ სამყაროსთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე

12.00სთ-დან -12.15სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ა.შათირიშვილმა აღნიშნა, რომ ა.ა.ი.პ. „მოვუსმინოთ სამყაროს“ თავისი სპეციალისტებით უზრუნველყოფს შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის მოწყობას, რაც ათეულობით ბავშვს და ოჯახს გაუწევს ეკონომიურ შეღავათს.

**დ.ღაღანიძემ** აღნიშნა, რომ პროექტში აღნიშნული ფართი საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას, რაზეც მომსხენებლის მიერ გაკეთდა განმარტება, რომ ორგანიზაცია თვითონ უზრუნველყოფს გადაცემული ფართის შეკეთებას.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26(ოცდაექვსი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01 (ერთი) წევრმა: **ზ.ნაცარაშვილმა.**

<u>2.მოისმინეს:</u> ქალაქ თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (მგგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ.

მომხს. მ.ბაღუაშვილმა
12.15სთ-დან -12.30სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **თავმჯდომარემ** აღნიშნა, რომ საკითხი დეტალურად არის შესწავლილი და პროექტში შეტანილია ის ცვლილებები რაც გამოითქვა საკრებულოს წევრების მიერ.

**დ.ღაღანიძემ** სევე იასუბრა იმის თაობაზე, რომ საკითხი ყველასათვის კარგად ნაცნობია და ქალაქის განაშენიანების და მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებისათვის ამ ეტაპზე უნდა მოხდეს გეგმარებითი დავალებების დამტკიცება.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26(ოცდაექვსი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01 (ერთი) წევრმა: **ზ.ნაცარაშვილმა.**

<u>3.მოისმინეს:</u> ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ.

მომხს. მ.ბაღუაშვილმა
12.30სთ-დან -12.45 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **დ.ღაღანიძემ** ისაუბრა იმის თაობაზე, რომ გეგმარებითი დავალებების დამტკიცების შემდგომ უნდა დაიწყოს მუშაობა შემდგომ ეტაპზე, უნდა შემუშავდეს გეგმა, რომელიც საკრებულოს მიერ დამტკიცდება ნორმატიული აქტით.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26(ოცდაექვსი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01 (ერთი) წევრმა: **ზ.ნაცარაშვილმა.**

<u>4.მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული აქტის მიღებისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ტ.გალახვარიძე
12.45სთ-დან -13.00 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **გ.მამუკელაშვილმა**

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26(ოცდაექვსი) წევრმა,

5.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ა.შათირიშვილმა** ისაუბრა იმის შესახებ, რომ სოფ.ყარაჯლის მოსახლეობას წარმოეშვა სასაფლაოს მოსაწყობად ფართობის გამოყოფის მოთხოვნა, ვინაიდან მათთვის მისაღები მიწის ნაკვეთები არის კერძო საკუთრებაში უნდა მოხდეს კერძო მესაკუთრეების ალტერნატიული ფართობებით დაკმაყოფილება, რაზეც კერძო მესაკუთრეები გამოთქვამენ მზადყოფნას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა უნდა გადასცეს სახელმწიფოს თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომლითაც შემდგომ სახელმწიფო დააკმაყოფილებს კერძო მესაკუთრეებს და გამოუყოფს მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ღირებულების შესაბამის ფართობებს.
პროექტში აღნიშნული მიწის ნაკვეთი, რომელიც უნდა გადაეცეს სახელმწიფოს, დიდი ზომისაა, ამიტომ კარგი იქნება თუ კერძო მესაკუთრეების დაკმაყოფილების შემდგომ დარჩენილი ფართობი უკან დაუბრუნდება მუნიციპალიტეტს საკუთრებაში.

**ზ.ნაცარაშვილი** დაენახმა ა.შათირიშვილის მოსაზრებას, ასევე აღნიშნა, რომ დარჩენილი ფართობი უნდა დაბრუნდეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

**საკრებულოს წევრები** შეთანხმდნენ, რომ წარმოდგენილ პროექტს დაემატოს პუნქტი, სადაც აღნიშნული იქნება: „კერძო მესაკუთრეების ინტერესების დაკმაყოფილების შემდგომ სახელმწიფოსათვის გადაცემული ქონებიდან დარჩენილი ფართობის მუნიციპალიტეტისათვის უკან დაბრუნების შესახებ“.

**ლ.ლილუაშვილმა და დ.ღაღანიძემ** ხაზი გაუსვეს სოფელ ყარაჯლის მაჟორიტარი დეპუტატის ძალისხმევას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**ზ.მუსაევმა** მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს მხარდაჭერისათვის და აღნიშნა, რომ სოფელ ყარაჯლის მოსახლეობას დიდი ხანია აწუხებდა ეს პრობლემა.

სოფელ ყარაჯლის მცხოვრებმა **იაშარ უსუპოვმა** დასვა კითხვა იმის თაობაზე, თუ როდიდან შეძლებს სოფელ ყარაჯლის მოსახლეობა დანიშნულებისამებრ გამოიყენოს ის მიწის ნაკვეთი, რომელიც განკუთვნილი იქნება სასაფლაოს მოსაწყობად.

აღნიშნულთან დაკავშირებით **მომხსენებელმა** განმარტა, რომ ქონების გადაცვლის პროცედურები მოითხოვს გარკვეულ დროს.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26(ოცდაექვსი) წევრმა,

6.მოისმინეს: სხვადასხვა

1. ა.მჭედლიშვილმა ისაუბრა იმის თაობაზე, რომ კლუბს „რა,სად, როდის“ სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის და თამაშების მოწყობისათვის არ გააჩნია სათანადო ფინანსური სახსრები და მიმართა თხოვნით სოფლის მაჟორიტარ დეპუტატებს შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფას თამაშებში მონაწილეობის მისაღებად.

   სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატებმა ა.მჭედლიშვილს აღუთქვეს თანადგომა და გამოთქვეს მზადყოფნა ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკითხში.

2. კავშირ „ლამპარი“-ს თავმჯდომარემ ნ.მაისურაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 6 ნოემბერს კავშირი აწყობს პრეზენტაციას მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შ.შ.მ. პირების შესახებ კვლევების თაობაზე და საკრებულოს წევრებს სთხოვა აღნიშნულ ღონისძიებაზე დასწრება, რათა შ.შ.მ. პირების პრობლემები ყველასათვის ცნობილი გახდეს და გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებული იქნეს მათი ინტერესები.

   საკრებულოს წევრებმა მადლობა გადაუხადეს მოწვევისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე